

შინაური საქმეები.

№ 9.

შასი ერთი შაური

წლიური შასი 4 მან.

წელიწადი მეხუთე.

✎ ყოველ-კვირული გაზეთი ✎

კვირა, 11 მარტი 1912 წელი.

ყოველ-კვირული გაზეთი

შინური საქმეები

სელის მოყვანის მიხედვით რედაქციის ქ. ქუთაისში (საბურთალოს) კარგად მოყვანილია სელის მკვლევარი, სიმონაძის შუშის მკვლევარი.

გაზეთის შასი:

წლიური ფასი:	4 მანეთი.	წლიური ფასი:	2 მანეთი.
წლიური ფასი:	4 მანეთი.	წლიური ფასი:	2 მანეთი.

ცალკე ნომერი ქუთაისში ერთი შაური.

უფლის შემოტანა წლიურ ზღვარზე დასაჯის. თუ უფლის მომხრეა, თუ უფლის მოწინააღმდეგეა, თუ უფლის მომხრეა, თუ უფლის მოწინააღმდეგეა. უფლის მომხრეა, თუ უფლის მოწინააღმდეგეა.

შინაური: 1) ყოველწლიური ლეონიდის მოგზაურობა სამეგრელოს ეკლესიების დასათვალისწინებლად; 2) მატერიალიზმი; 3) კიდევ ერთი დანია უკუღმართობის შესახებ—ნაქულობაქველი მოძღვრისა; 4) პასუხად ბ. ახელს; 5) მგზავრის შენიშვნები—ხომელისა; 6) კვირიკა-კვირამდე; 7) შინაური მიმოხილვა—გულკეთილისა; 8) ბ. ა. ჯანელიძის ლექციების შესახებ—ხელისა; 9) რას გეწერენ? ა) კეთილმოწყობის არჩევნები ლაშხეთის ოლქში—დამსწრესი; ბ) თიანეთის მხრის ამბები—ქართველი ოსებში ნამყოფისა; 10) შინაური საქმეების ფოტო

ყოველწლიური ლეონიდის მოგზაურობა საქართველოს ეკლესიების დასათვალისწინებლად.*)

ს. შხეფიძემ გავემგზავრეთ ს. ძველ-სენაკში**). ამ სოფელში ორი ეკლესიაა: მაცხოვრისა, —შიგ ძველ-სენაკში და წ. გიორგისა, დაბაზე კარგა მოშორებით გორაკზე.

მაცხოვრის გუმბათიანი ეკლესია ქართული გუმბათის, კარგა მიმოხილვით ქვიციკრის შენობას წარმოადგენს; ეს ეკლესია შვეიცარიისა და ძველ-სენაკისა; არა სასურველ შთაბეჭდილებას ახდენს მხოლოდ ის, რომ კედლების აშენების შემდეგ აღარ უზრუნავთ მრევლს და მღვდელსა მის შიგნითა შესაფერისად გამ-

*) იხ. „შინ. საქ.“ № 8.

***) სენაკი—ოთახი, საცხოვრებელი, ბინა.

შეგნებაზე. დღეს რაც კი რამ მოიპოვება შიგნით დაწყებული სახარებიდან, ჯვრები და ხატებიდან, შეუწირავს თავის სულის საოხად აწ გარდაცვალებულს ქ. ფოთის, ეგრედ წოდებულ კუნძულის ეკლესიის, მღვდელს სამსონ კვაქანტირაძეს. მიუხედავად ასეთი ამაგისა, მაცხოვრის ეკლესიის მრევლმა სრული უმადურობა გამოიჩინა ხსენებული ღვდლისადმი და უარი სთქვა მის დასაფლავებაზე ეკლესიაში...

იმედია, რომ ახალი წინამძღვარი მაცხოვრის ეკლესიისა, რომელსაც ნაჩვენები აქვს მღვდელთ-მთავრისაგან ეკლესიის ყველა ნაკლულევანებები, არ დაიზოგავს თავს და გაამშვენებს მისდამი რწმუნებულ ეკლესიას ისე, როგორც შეპფერის მის მოხდენილ გარეგნობას, განსაკუთრებით კი ყველა ზომას იხმარს და, რაც უნდა დაუჯდეს, მაინც დაარსებს მგალობელთა გაწყობილ მუდმივ გუნდს.

მწ. გიორგის ეკლესიაც ქვიტკირისაა, მაგრამ იგი მეტად პატარა, ვიწრო, ბნელი და ულახათაა. ამ სოფლიდან სოხუმში გათხოვილ ქალს, ბარკალაის მეუღლას, ანდროძით დაუტოვებია წმ. გიორგის ეკლესიის სასარგებლოდ ხუთასი თუმანი; ფული უკვე ეპარქიის უმფროსის ხელშია და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მოკლე მომავალში დღევანდელი ბეჩავი ეკლესიის ალაგზე დაეინახავთ მრევლის შესაფერ ახალ ტაძარს.

ბინდებოდა; სორდამდე, სადაც ღამე უნდა გაგვეთია კარგა მანძილი გვრჩებოდა გასაღლელად, ამიტომ მოვიჩქარეთ, მაგრამ ს. სორდამდე ხშირ ბინდამდინ მაინც ვერ უწიეთ.

სადღესასწაულოდ გაიხრადნებული, გემოვნებით მოწყობილი, ახლად შეღებილი თვალისთვის საამო წაშლებით სორდის იოანე ნათლის-მცემლის ხის ეკლესია, თავის გაკრიალებული შანდლებით, სწორეთ სასიამოვნო სანახაობას წარმოადგენდა. საითაც მიიხედავდი, ყველგან შეგნებული მზრუნველის ხელი სჩანდა და ესეთი მზრუნველი მრევლისა და ეკლესიისა არის ყველასაგან დიდად პატივცემული მოძღვარი მ. კირილე ჯაფახია. მღვდელ-მთავრის მობრძანებისათავე ეკლესიაში გაისმა „ისპოლ-

ლაეტი,-დესპოტა“ რომელსაც მშვენიერი და სასიამოვნო ტკბილის ხმით გალობდა ერთი შავმონაზონივით გამოწყობილი მანდილოსანი და ერთიც თორმეტ-ცამეტის წლის მისგანვე გალობაში გაწრთვინლი ქალიშვილი.

ყოვლად სამღვდლო საკურთხეველიდამ გამობრძანდა ამბიონზე და გადასახა ხალხს ჯვარი, და დაიწყო სიტყვა იოანე ნათლის მცემლის ცხოვრებიდამ. შემდეგ იმთხვია ყველანი ხელზე და გამოვიდა გარეთ.

საუცხოვო სურათი გადამეშალა თვალწინ: ბადრი მთვარე თავს დაჰკამკამებდა ქვეყანას, და ვერცხლის ფერად ღებავდა ყველას. მთელ ეზოში მიცვალებულების საფლავებზე ანთებული წმინდა სანთლები, ხშირ ვარსკვლავებით, მოკამკამებდნენ და ნაზი შუქით ანათებდნენ მიცვალებულების საფლავებს. აქა-იქ საფლავებს ჩასხდომოდნენ მანდილოსნები და მღულარე ცრემლებს აყრიდნენ მიცვალებულების მყუდრო სამყოფელს. სურათის მომხიბლავ შთაბეჭდილებას აორკეცებდა ბულბულის ტკბილი გალობა და ბავშვების ცელქი ყიჟინის ხმაურობა, რომელიც შორიდან მოჰქონდა ზაფხულის წმინდა ნიავს, გუნდრუკ-საკმეველის სუნთან ერთათ შეზავებული.

ნეტა თუ გამოგიცდია, მკითხველო, რა დიდ ნუგეშს განიცდის მიცვალებულის პატრონი, როდესაც იგი, მეტის-მეტი მწუხარებისაგან ათროლებული ხელით, ანთებს წმ. სანთელს ძვირფასი არსების საფლავზე?! საღმრთოთა ეს ჩვეულება!

28 ივლისს ეპისკოპოსმა ინახულა, კოტიანეთის, ნაქალაქევის, ბეთლემების, უშფათის, და მათი ზედმიწერილი ეკლესიები.

ნახულ ეკლესიებში ყველაზე შესანიშნავია ნაქალაქევის ძველი ეკლესია, ამგვარი ტაძარი მთელ სამეგრელოში სულ ოთხია, სენაკის მახარაში ორი: მარტივილისა და ნაქალაქევისა და ორიც ზუგდიდისაში: ხობისა, და წაღენჯიხისა. ჩემი აზრით, ამ ოთხთაგან უძველესი ნაქალაქევის ტაძარი უნდა იყოს¹⁾

¹⁾ ტაძრის აწერილობა და ყოვლად სამღვდლოსაგან წარმოთქმული სიტყვა იხ. შინ. საქ. № 27-28 1911 წ.

წალენჯიხის²⁾ ტაძარი ოდესმე დიდი სავანე იქნებოდა, ამას მოწმობენ დღევანდელამდე შენახული მრავალი საცხოვრებელი სახლების და პალატების ნანგრევები. დღეს კი სამრევლო ეკლესიაა—ეკლესიაში დღეს ცხოველად მოსჩანს მხატვრობა; ხუროთმოძღვრებით ეკლესია დიდებულია.

ამ ტაძარში ასენია გულ—საკიდი პატარა ზომის ხატი, ძვირფასი თვალ მარგალიტით შემკული. ხატს გულში შავი რკინისფერი ჯვარი უხის. ამბობენ, ეს ჯვარი ქრისტეს ჯვარცმის დროს ხმარებული ლურსმნისაგან არისო.

ნაქალაქევის ტაძარში დღეს ძვირფასი, არა მოიპოვებარა, გარდა თვით ტაძრისა და ორმოკთა მოწამეთა, სევასტიას ტბასაშინა მომწყდართა საფლავისა.

სოფელ ბეთლემების ეკლესიები ხისანი არიან და ყოველ გვარ სამკაულს მოკლებულნი. ერთი ამ ეკლესიათაგანი ყველასაგან ცნობილი ბენედიქტე (ვახტა) ბარკალაია ბერის სამშობლოა. ნუ თუ არ შეეძლო ამ ბერსა, ერთი სახარება მიიწე შეეწირა თავის სამშობლო ეკლესიათვის, მეტი თუ არაფერი? განა მოვალე არ იყო ერთი მაცხოვრის ხატი მიიწე დაესვენებია და მოზარდ თაობისათვის ღვთის სახელის ხსენება და პირჯვრის წერა ესწავლებია? მაგრამ, ჩემო ძვირფასო მკითხველო, კეთილი ნაყოფი კეთილი ხილამ გამოდის და არა ხენეშიდამ.

ს. უშაფათის ეკლესია წმ. მარინეს სახელზეა აგებული, იგი ხისაა და ღარიბულადაა მოწყობილი. წრეულს ვიღაცა არა მკითხეს გამოუცხადებია ადგილობრივ მღვდლისათვის, წმ. მარინეობას, ჩვენი ეკლესიის დღეს, ნულარა სწირავ; რადგანაც ამ დღეს ვითვრებით და ზარალი მოგვდისო, ჩვენ დაეადგინეთ დღესასწაულის მოსპობაო. გასაკვირია, ღმერთმანი, რა შუაშია აქ წმინდანის სახელის ხსენების დაკარგვა! ნუთუ დღესასწაულის ქრისტიანული გადახდა კაცს ლოთობაზე აქეზებს?!

პავლე მოციქილი სწერს „ნუ დაითვრებით ღვინითა, რამეთუ სიბილწე არსო“ და ნუთუ

²⁾ წალენჯიხის, ნაშნავს ტანების ციხეს.

ეს სიტყვები ლოთობის ალიგმვა არარის? დიახ, ამ ფერი განცხადებების ბეჭედა. სჯულად, დაიღო ჩვენ გაზეთებში მოძრაობის შემდეგ. ამითი მითომ და სამსახურს უწევენ ღარიბ ხალხს, თავიდან აშორებენ დღეობის გადახდით გამოწვეულ ხარჯს. მაგრამ ვერ გავიგია გაზეთების პირველი და ბოლო გვერდები რომ აჭრელებულია ჩაკიცვებული პატივით, მოღით ნახეთ ესა და ეს მოჭიდავე ქალები და კაცები და სხვადასხვა გასართობი ცირკებიო; ამითი სიმდიდრეს იძენს ჩვენი ხალხი ან გონებრივით ან ქონებრივად?

თუ კი ხალხს მართლა გულ-შემატკივარი ჰყავს ვინმე, ის არა სჯობიან, რომ ტაძრის დღესასწაულისა გამო შეკრებილობას წაუკითხოს რამ სასარგებლო ან გააცნოს რომელიმე ახალი სამუშაო იარაღი, ან უჩვენოს ცოცხალი სურათი ჩვენი ისტორიული პირებისა, მწერლებისა, საზოგადო მოღვაწეებისა და სხვა. მაგრამ...

აი რა სიტყვებით დამოძღვრა ყოველად სამღვდელმომ ხსენებული ეკლესიის მრევლი:

თქვენი დამწყისი და დარიგების მასალას მამლევს თქვენი მეოხი და სულიერი მცველი ქალწულ-მოწამე წმ. მარინე. მარინეს მშობლები, როგორც, უეჭველია, გაგონილი გექნებათ, იყვნენ წარმართები, კერპთ-თაყვანისმცემლები, არა მცოდნენი ჭეშმარიტი ღვთის და ჭეშმარიტი სარწმუნოებისა. პატარა მარინე მისმა დედამამ ერთ ქრისტიან ქალს მიიბარეს აღსაზრდელად, სწორეთ ისე როგორც ჩვენში ბავშვებს გააბარებენ, გააძიძავენ ხოლმე.

ამ მაღლიანმა ძიძამ ტკილ და შემრგო რძესთან ერთად ქრისტეს სიყვარულიც შეათვისა მარინეს ქორთა გულს და ისე დაუბრუნა მშობელ მამას. მამამ შენიშნა, რომ მარინე ჩაგრულებს ესარჩლებოდა, გლახაკებს სწყალობდა, სნეულებს ემსახურებოდა და ხშირად ლოცულობდა.

ყველაფერი ეს დიდათ ეწყინა მარინეს მამას; მან სასტიკად აუკრძალა თავის შვილს ამგვარი ქცევა და უბძანა კერპთაყვანისმცემლობა. მაგრამ, რაც დრო გადიოდა, მარინე

უფრო და უფრო მტკიცდებოდა ქრისტიანულ ყოფაქცევაში და მის გამო მამამ საბოლოოდ შეიძულა იგი; ამ განსაცდელს მარინეს ცხოვრებაში ზედ კიდევ უფრო დიდი და მძიმე უბედურება დაერთო. იმ ქალაქში, რომელშიაც მარინე სცხოვრობდა, მოვიდა ქრისტიანების ულმობელად მდევნელი მთავარი ლომბროზი. ამ მთავარმა თვალი მოჰკრა მარინეს და მთლად გაღიზია მისი სიმშვენიერით. მან გადასწყვიტა: თუ მარინე უბრალო კაცის შვილია, ფულებით მოვისყიდი და ხასად დავისყამო, თუ კეთილშობილის ოჯახიდან არის, — ცოლად შევიერთამო.

ლომბროზმა საჩქაროთ დაიბარა მარინე და გამოჰკითხა ვინაობა. მარინემ აღიარა მის წინაშე თავისი ქრისტიანობა და მალაღობა წოდების-შვილობა. მთავარმა სთხოვა მარინეს — იწამე კერპები და მე გაგაბედნიერებ, ცოლად შეგიერთამო. მარინემ გადაჭრით უპასუხა — მე სძალი ვარ ქრისტე — ნაზარეველისა და ვერა ვითარი ქვეყნიური ძალა ვერ შემოარგულდება მის სიყვარულზე, განსაკუთრებით საზიზღარია ჩემთვის შენი წინადადება, როგორც ქრისტიანების მდევნელისა და ქრისტეს სჯულის მტრისაო..

მთავარმა იფიქრა მარინეს შევაშინებ, გაჭირვებას მივაყენებ, ეტანჯავ და მერე კერპებსაც იწამებს და ცოლადც გამოწყვებაო. ამ აზრით ხელგებ-შეკრული მარინე მან მისცა თავის მხლებლებს საპყრობილეში ჩასაგდებათ, ამ ზომამ რომ ვერ გასჭრა, მთავარემ უბრძანა მხლებლებს, გაათიტელებთ. მარინე და რაც ძალი და ღონე გაქვთ, სცემეთო; მერე ხეზე მიაკრეფინა ტიტველი და რკინის ფოცხით აგლეჯინა მისი ტანი, მერე ჩააგდო ვიწრო, ბნელსა, და ცივსა ჯურღმულში, ვაკრეფინა ხეზე და ძირიდან ცეცხლი მოუკიდა, შემდეგ ჩააგდებინა წყლით სამსე ჭურში და ბოლოს, როდესაც მტარვალის დარწმუნდა, რომ მისი სისასტიკე უფრო მეტ სიმტკიცეს აძლევდა მარინეს და ამის გამო მარინეს მაყურებლებში ქრისტიანობა ეფინებოდა, უბრძანა ჯალათებს მარინეს თავის მოკვებას.

ასე ეღიზია წმ. მარინეს მოწამებობრივი გვირგვინი და ამ ფერად შეიმოსა მან დიდი მადლი ქრისტეს წინაშე მორწმუნეთა დახმარება — მფარველობისა.

ცხოვრება წმ. მარინესი საგულლისხმეოა ჩვენთვის, ძვირფასო მსმენელებო, იმ მხრივ, რომ იგი შვილების სულიერი აღზრდის ნამდვილ მაგალითს გვაძლევს. ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ ბავშვს, როგორც ხორციელად ესაჭიროება საზრდოება დაბადების პირველივე დღიდან, ისე სულიერად. ხორციელად ბავშვს ასაზრდოებლად თავისი რძით, თავისი ძუძუთი. რაც უფრო ბლომად ექნება დედას ნაყოფიერი და სალი რძე, მით ბოვშიც უფრო ხორციანი და სალი იქნება. წინააღმდეგ ამისა, რაც უფრო ცოტა და უფარგისი იქნება რძე, მით ბოვში სუსტი, დაავადებული გამოვა.

აგრეთვე სულიერათ, რაც უფრო მორწმუნე, ღვთის მოშიში, წმინდა ცხოვრების და მალაღობის მატარებელი იქნება ბოვშის აღმზრდელი, რაც უფრო გულკეთილი, თავმდაბალი და შემბრალეველი იქნება იგი სხვებისა, მით მისი ბავშვიც სავსებით შეიმკობა ამ სულიერი თვისებებით და ბოლოს საზოგადოების სამაგალითო წევრი ვახდება.

მეორე მხრით ურწმუნოს, ზნეობა და ცემულს, გულცივს, გაუკითხავს, ამაყს, და მამფოთარს დედას, შვილიც თავისი მზვასი გამოუვა და საზოგადოებას ცხოვრებას გაუმწარებს ამგვარი წევრი.

ამას სარკვესავით თვალწინ გვიყენებს წმ. მარინეს ცხოვრება. ვინ გახადა წმ. მარინე სულიერ გმირად? ვინ აუნთო მას გაუქრობელი ალი ქრისტეს სიყვარულისა? ვინ შთაბერა მას შეურყეველი ერთგულება ქრისტიანობისა? ძიძამ, იმ ქალმა, რომელიც მას ძუძუს აწოვებდა, რომელიც მას აკვანში აწვენდა და უვლიდა.

თქვენც, ძვირფასო მშობლებო, ასევე კეთილად აღზრდით თქვენს შვილებს, თუ წმინდა მარინეს აღმზრდელი ქალის სარწმუნოებისა და მალაღობის მიმბაძველნი და მიმდევარნი იქნებით.

დღეს მწარეთ რომ კვნესით და უჩივით

შვილების ავზნობას, იცოდეთ, ამაში დამნაშავე ისევე თქვენა ხართ, რადგანაც იმ დროს როდესაც თქვენ შვილებს ძუძუთი ასაზრდოებდით, არ გიფიქრიათ მათი სულის ამაღლებაზე, მათი გულის გაკეთილშობილებაზე, თითონ თქვენ არ გქონიათ გული გამთბარი ქრისტეს სიყვარულით.

გინდათ, რომ შვილები თქვენი პატივის მცემელნი და მოსიყვარულენი იყვნენ, გინდათ, რომ იგინი ბურჯათ უდგნენ სარწმუნოებას და ეკლესიას, გწყურიათ, რომ ისინი სსახელო წევრებად შეიქნენ საზოგადოებისა? ნუ დაგავიწყდებათ, რომ ყველა ეს უნდა შეათვისოთ მათ თქვენი საკუთარი მაგალითით იმ დროს, როდესაც მათ ძუძუს აწოვებთ, ყველა ამის მისაბაძი მაგალითები უნდა აკვანშივე მისცეთ მათ.

აი, ამას გასწავლით ყველას თქვენი მფარველი, თქვენთვის მლოცველად ქრისტეს წინ წამდგარი დიდებული ქალწულ-მოწამე მარინე და ნეტარება იმ მშობელს, რომელიც ამ დარბაზების დიდ აზრს შეიგნებს და საქმით განახორციელებას..

N.



მატერიალიზმი. ¹⁾

(გაგრძელება.)

მატერიალისტების დოღმატი²⁾ შესახებ ნიეთიერების მარადისობისა ისეთივე მოკლებულია მეცნიერულ საბუთს, როგორც მათი რწმენა ღვთის არ ყოფნაში. ამ დებულების არა თუ დამტკიცება ან შეგნება არ შეიძლება, არამედ იგი ცხადი წინააღმდეგია ჩვენი პირდაპირი გამოცდილებისა, ფაქტების ლოდიკისა. თანახმათ კანტ-ლაპლასის და შერტლის მოძღვრებისა მატერიალისტები ამტკიცებენ, რომ რამოდენიმე მილიონ წლის უკან მატერია თანასწორათ იყო განაწილებული სივრცეში მსოფლიო ნისლის მსგავსათ და რომ ასეთსავე ნისლოვანობაში,

¹⁾ იხ. „ზინაური საქმე“ № 8.

²⁾ ტეშმარტებით მიღებული აზრი, რომელის დამტკიცება შეძლებულია.

რომელიც ჩვენზე რამოდენიმე ათასი მილიონი ვერსით არის დაშორებული დღესაც ვხედავთ გამორკვეულ პირველყოფილ ნიეთიერებას. რანაირათ უნდა ეთანხმდებოდეს ასეთი პირველყოფილი არსებობა ნიეთიერების მარადისობის თეორის? მატერიალისტები ამტკიცებენ, რომ ადამიანი ახლახან გადმოკეთდა ცხოველიდგან, რომ დედამიწა ჯერ კიდევ ახალი, განვითარებაში მყოფი მსოფლიო სხეულია, მაგრამ სამარა რადისო იგივეობა (უცვალებლობა) და განვითარება არ უარყოფენ ურთიერთს? თუ ნიეთიერება სამარადისოა სამარადისო უნდა იყოს მისი ფორმაც, გარეგანი შეხედულობაც. თუ მატერია სამარადისოა მაშინ ყოველგვარი ფორმები და მატერიის ცვალებადობა უნდა გამოჩენილიყვენ ქვეყანაზე, უფრო მეტი რომ ვსთქვათ, ყველანაირი სახეები უნდა აურაცხელჯერ განმეორებულიყვნენ. თუ ვიტყვით, მატერია დაუსრულებელია თავის რაოდენობითო, ყოველ შემთხვევაში მას აქვს განსაზღვრული თვისებების რაოდენობა, რომელიც თანხმად ბუნების კანონებისა, შესაძლებელია განხორციელდეს რამოდენიმე განსაზღვრულ სახეში. მაგრამ ესეც ხომ არ ეთანხმება სინამდვილეს?! ის, რასაც ჩვენ სიკოცხლეს მსოფლოში ვეძახით, არის მოქმედება ძალთა, რომლებიც მუდამ სცდილობენ, თანასწორობა შეინახონ. ამ თანასწორობას ადგილი აქვს ყველგან და ყოველთვის. ასე მაგალითად მილიონი მზეები განუწყვეტლივ იძლევიან სითბოს, რომელიც არასოდეს უკან არ უბრუნდებათ. თუ აქაც ადგილი აქვს მარადისობას, მაშ რათ მთელი ქვეყნიერება არ გათბა თანასწოროათ და არ მოიპოპო სითბოს ყველა მოვლენანი?

მატერიალისტური მოძღვრება ენტროპიაზე. (ე. ი. ქვეყნიერების საბოლოოთ დაღუპვის შესახებ) წინააღმდეგია ნიეთიერების მარადისობისა. ასეთი ენტროპია ღიდი ხანია უნდა მომხდარიყო, და თუ მომხდარიყო, მაშინ სხეულთა ინერციის³⁾ გამო, შეუძლებელი იყო

³⁾ ინერცია ისეთი თვისებაა, რომლის გამო უსულთა სავანი მუდამ ერთ და იმავე მდგომარეობას ინახავს.

მატერია თავის თავად გამოსულიყო მოსვენებისა და თანასწორობის მდგომარეობიდან, და ამოძრავებულყო.

მართალია, ზოგიერთი კოსმოლოგები ამტკიცებენ, რომ ბოლოს და ბოლოს ბზების დაჯახების დროს და ამ დაჯახების მიზეზით გამოწვეულ სიციხის გამო, ეს მზეები ანთებულ ნისლით გადიქცევიან, ამიტომ აქედგან წარმოსდგება ის პირველყოფილი სითბო, რომლის ძალითაც შეიძლება ხელახლა შესაძლებელი შეიქნეს ქვეყნის ახლად წარმოშობა.

მაგრამ ეს შემცდარი დასკვნაა. მართალია, ნივთიერ მასების შეერთება სითბოს გაჩენის უმთავრესი წყაროა, მაგრამ ერთად ერთი?— ეს კიდევ საკითხია. თუ ვიფიქრებთ, რომ ცთომილები შეეჯახებიან პლანეტებს (მიწებს), პლანეტები მზეებს, ხოლო ეს ერთბაშად კი არ მოხდება, არამედ თანდათანობით, ერთი მეორის შემდეგ. ჩვენი მზის სისტემაში უბირველეს ყოვლისა მზეს მერკური უნდა დაეცეს და ეს სითბოს კერა იკმარებს 6 წელიწადს და 219 დღესა (როგორც ვ. ტომსონი გვითქვით); მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მზე რაც სითბოს შეიძენს, ისევ დახარჯავს და თავის სითბოს ერთ გრადუსს ვერ ასწევს. მერკურის შემდეგ ჯერი ვენერაზე მიდგება, რომელიც შეინახავს მზის სითბოს 83 წელიწადს და 326 დღეს. ჩვენი დედამიწა შეინახავდა მზის სითბოს 95 წელიწადს და 19 დღეს, მძლავრი იუპიტერი 32,254 წელიწადს და სხ. ყველა პლანეტები თავის დაჯახებით მზეს შეუნახავენ სითბოს 45,600 წელიწადს, მაგრამ ერთი პლანეტის დაჯახებიდამ მეორემდე მზე უფრო მეტ სითბოს დაკარგავს, ვიდრე მოიმატებს. თუ ასე ვიანგარიშებთ იმ დასკვნამდ მივალთ, რომ რაც ასეთ დაჯახებიდან სითბო გაჩნდება, ყველა მსოფლიო სივრცეში დაიკარგება; პლანეტების და მათი ცთომილების ჩაყლაპვის გამო მზეები ერთი მეორეს დაუახლოვდებიან და ბოლოს ერთი მეორეს დაეჯახებიან; ამნაირათ უმეტესი ნაწილი იმ სითბოსი, რომელიც საჭიროა ახლად ქვეყნიერებათა

წარმოსაშობათ დიდი ხნით წინ დახარჯული იქნება; და ბოლოს მაინც, შემდეგ მილიონ მზეების დაწვისა, ქვეყნიერება გაფიჩხულდება მუდმივ მოსვენებაში. მაგრამ თუ მსოფლიო დასასრულის ასეთი აღწერილობა სრული მეცნიერულია და თუ მატერია სამარადისაა, მაშინ ჩვენ უფლება გვაქვს კიდევ ვიკითხოთ: რათ არ დაიღუპა ეს მატერია უფრო ადრე თავის ბუნებრივი სიკვდილით?

ამავე აზრით ლაპარაკობს ცნობილი ვარსკვლავთმრიცხველი სეკიცი: „ჩვენ სრულებით საქმე არა გვაქვს აქ **სრულიად განუსაზღვრელი** ხნის განმავლობასთან. რადგანაც ენერჯია (ძალა) მუდამ თანასწორობას ესწრაფვის, რომ დაუსრულებელი ხანი გასულიყო მსოფლიო ისტორიაში, მაშინ დიდი ხნით ადრე დადგებოდა თანასწორობა, და ყოველივე მსოფლიო მოვლენა შეუძლებელი გახდებოდა („Die Stern Upr. 335). ამაში მას ეთანხმება ე. ფონ-გარტმანიც.

ამნაირათ ზოგიერთი მატერიალისტებიც იმ აზრის არიან, რომ მსოფლიო არის შედეგი რომელიმე დროებითი მოქმედებისა და რომ მატერიის და ძალების დღევანდელ მდგომარეობას უნდა ქონდა დასაბამი და დასასრული. მაგრამ ეს ხომ სრულიად თანახმაა ბიბლიის (სამღვთო წერილის) მოძღვრებისა და მასთან უფრო მეცნიერულიც არის, რადგანაც ბიბლიის თქმულება: „დასაბამად შექმნა ღმერთმა ცა და ქვეყანა“ უფრო შეესაბამება მსოფლიო საერთო სურათს, ვიდრე მატერიალისტების თეორია ნივთიერების მარადისობაზე. ღმერთი ჩვენთვის არის წყარო ყველა ძალებისა, საიდგანაც მომდინარეობენ ბუნების ძალები. იგი არის მსოფლიოს *perpetuum mobile**, აი რატომ არ უნდა გვეშინოდეს ჩვენ ყველა ძალების თანასწორობისა და აქედგან გამომდინარე მსოფლიოს საბოლოო სიკვდილისა.

მეორე მხრით, სანამ ნივთიერებაზე ილაპარაკებდეს, მატერიალისტმა ლოღიკის ძალით უნდა გვითხროს, რა არის ნივთიერება; მაგრამ მას არაფერი შეუძლია სთქვას ამაზე, რადგან

* მუდამ მოძრავი.

მან იმდენივე იცის ამის შესახებ, რამდენიც ჩვენ — არა მატერიალისტებმა.

მატერიალისტების შემდეგი დებულება ლაღდება: „მე მრწამს მარადისობა ძალისა ან ძალთა“. მაგრამ თვით ამ მოძღვრების მიმდევარნი, როგორც ყველა ბუნებისმეტყველიც, უნდა გამოტყდნენ, რომ მათ არ იციან, რა არის ძალა და აგრეთვე შეადგენს თუ არა იგი მის ნიშანდობლივ კუთვნილებას. შპილლერი ამბობს: „მე სრულიად არ ვამყარებ ჩემ მოძღვრებას მალეშოტის, ბიუხნერის და სხვების შემტყდარ დებულებაზე, ვითომ ჩვეულებრივი ნივთიერება თავისთავად იპყრობს ძალისა და მოძრაობის დასაწყისს“ (Das heben стр. 40). მეორე ადგილზე იგი ამბობს: „თუ სპინოზა განსხვავებას არ სდებს ნივთიერებას და ძალას შორის, იგი სტოება, რადგან გამოკვლევამ გვიჩვენა რომ ძალა არ არის მიუცილებელი თვისება ნივთიერებისა“. მაშ რაღაა ძალა? დიუბუა — რეიმონდი ფიქრობს, რომ ჩვენ ვერასოდეს ვერ შევიტყობთ ამას; იგი შესაძლებელად სცნობს კიდევ, რომ სულაც არ არსებობს არც ძალა და არც მატერია, რომ ესენი მხოლოდ განყენებითი ცნებებია. მაშ როგორღა შეიძლება ისეთ საგნების მარადისობაზე ლაპარაკი, რომლებიც არ ვიცით, ისეთ განყენებულებზე, რომელიც არსებობს მხოლოდ ჩემ ტვინში, როგორც მიმდებარა? მართალია, ჩვენ მსგავს ძალას ვამჩნევთ დედამიწაზე და მსოფლიოშიც, მაგრამ ეს ხომ თანამედროვე მსოფლიოს მდგომარეობას მოწმობს და სრულიად არაფერს გვეუბნება ნივთიერების მარადისობაზე. სასაცილო მდგომარეობაში იყენებენ თავს ადამიანები, რომლების სიკოცხლე წარმოადგენს უსაზღვრო მკირე ხანგრძლივობას მარადისობასთან შედარებით, და რომლებიც მიუხედავად ამისა მაინც გაიძახიან: „ნივთიერება სამარადისოა, ძალები სამარადისონი არიანო!“ როგორ შეგვიძლია ჩვენ, ვიცოდეთ ეს? ან საიდან შეგვიძლია შევიტყოთ? რა ვიცით ჩვენ ამ მარადისობის მოვლენების წარსულიდან, ამ რაღაცაზე, რომლის შეგნებაც კი ძლივს შეგვიძლია.

ამ ნაირათ, მატერიალიზმის ეს დებულებაც შესახებ ბუნების ძალთა მარადისობისა მოკლებულია მეცნიერულ დასაბუთებას და თავისთავად წარმოადგენს მხოლოდ სოფისტიურ წვრილმანობას. თუ შეუძლებელია დასაწყისის მიგნება, ან წარმოადგენა მისი, მაშინ ამბობენ, „იგი სამარადისოა“ — და ამით კმაყოფილდებიან.

ასეთივე უსაბუთონი არიან მატერიალისტების მოძღვრება სიკოცხლის წარმოშობის შესახებ. მათი პასუხები შესახებ იმისა, თუ „რა არის სიკოცხლე?“ მეტად სუსტნი არიან. „სიკოცხლე ფართო შეხედულობით, ამბობს შპილლერი, არის მოძრაობა ან ადგილობითი ცვლილება“. ძალიან ფართო განმარტება!

პროფ. გეკკელისათვის მაკოცხლებელი ძალა წარმოადგენს „უბრალო მიზეზთა (დამოკიდებულებათა) კანონს ანუ „ინდივიდუუმის“ მატერიის ზეგავლენას“. ვინ გაიგებს ამას? ბერნარდი (Rede in chicado 1874 r.) ამბობს: „მაკოცხლებელი ძალა არის ის ძალა, რომელიც აიძულებს მცენარეს იზარდოს“ მეტათ მარტივი განმარტებაა, მაგრამ სრულიად არაფერს არ განმარტებს.

შოპენგაუერს მთელი სიკოცხლე წარმოდგენილი აქვს, „როგორც ნება, როგორც სურვილი“. მაგრამ ვისი?

თუ ჟურნალ „Die Natur“-ში (3 თებ. 1895 წ.) კითხვაზე, თუ რა არის სიკოცხლე, აძლევენ შპილლერისებურ პასუხს: „მსწავლელი, რომელიც მსოფლმხედველობის უმაღლეს საფეხურზე სდგას, მაშინვე გვიპასუხებს, რომ სიკოცხლე არის მოძრაობა“, — თუ ამასთან ჟურნალში ამასთანავე შენიშნავენ, რომ ბუნებისმეტყველების მეცნიერებას დიდი გზა უნდა გაევილო, რომ ამ დასკვნამდი მისულიყო, — მაშინ უნდა შევიბრალოთ, რომ ეს გზა მან სრულიად უბრალოთ განვილო, რადგან სიკოცხლე იმდენათვე მოძრაობა არ არის, რამდენათ მოძრაობა სიკოცხლე არ არის. დინამო — მაშინა, რომელიც რამდენიმე ასჯერ უნდა ვადაბრუნდეს წუთში და რომელიც ხარჯავს განსაზღვრულ სითბოს, ელექტრონის ძალას, მაინც მკვდარია. პარაფიზი და მანე მობმული ვაგო-

ნები მოძრაობენ, მაგრამ მხოლოდ სულელი იტყვის, ივინი ცოცხალი არიანო ხოლო აი ეს შავი მარცვლი კი, რომელიც ჩემ ფანჯარაზე სდევს, მაინც ცოცხლობს.

შემდეგი იქნება

კიდევ თ. ჟორდანის უკუღმართობის შესახებ.

ვოსტორგოვის სახელი ქართველ კაცს დიდ ხნობამდის არ დაავიწყდება; ამ სულიერ მამას ქართველის ხსენება ყოველთვის გლახა გუნებაზე აყენებდა და თავისი მოქმედების უპირველეს საგნად დასახული ჰქონდა ქართველი ერის დაბეჩაეება, მიწასთან გასწორება და ყოველმხრივი გათახსირება.

მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ამ ქართველების ქამისაც ვერ გაუბედია შემოღება ქართულ სასწავლებლებში იმ უკუღმართობისა, რომელსაც ფართო ალაგი სკერია სამეგრელოს შკოლებში თ. ჟორდანის წყალობით! როგორც ვიცით, დეკ. ვოსტორგოვმა დააკანონებია ჩვენში რუსული ენის ლექსიური სწავლება პირველი სამოსწავლო წლის დაწყებისთანავე, ხოლო რუსული წერა-კითხვის სწავლება, პირველი წლის მეორე ნახევრიდან, თ. ჟორდანის კი რუსული ენის ლექსიური განყოფილება მეტ ბარგად მიუჩნევია და რუსული წერა-კითხვის სწავლება უწარმოებია პირველი სამოსწავლო წლის დამდეგიდანვე. ამას გვიჩვენებენ საკლასო ეურნალები. მაგალითად, ფოთის სასაფლაოს ერთკლასიანი სამრევლო შკოლის 1901 წლის ეურნალში ჩაწერილია: 7 Октября 1901 года. 1-е Отдѣленіе. По русскому языку изучали слово „лапа“. იქვე 15 Октября. 1-е Отдѣленіе. По русскому языку списывали слово „лица“. ამასვე გვიჩვენებენ 1902, 1903 და შემდეგი წლების ეურნალები.

თ. ჟორდანის დროის მასწავლებლები გაკვირვებული არიან, რას ნიშნავს რომ ბ. ბ. გოგებაშვილი და ი. ფანცხავა თვალსა ხუქვავენ ნაჩვენებ გარემოებაზე და დანაშაულად უთ-

ვლიან ჟორდანის მხოლოდ რუსული ენის ლექსიურ სწავლებას ბავშვის მიღებისთანავე, იმდროს, როდესაც იგი მოვალეობად გვიდგენდა პირველიდანავე ამაზე ბევრად ძნელ საქმეს, რუსული წერა-კითხვის სწავლებასო. ჩვენც გვაკვირვებს ასეთი ლმობიერება ხსენებული პირებისა, მაგრამ ალბათ მათ არ იციან საქმის ვითარება, ალბათ ხელში არ ჩავარდნიათ ამისი დამამტკიცებელი საბუთები, ალბათ მათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ ქართველების გარუსებაში ვოსტორგოვს წინ გაუსწრებდა რომელიმე თავზე ხელაღებული ქართველი. მაგრამ შეურყეველი დოკუმენტები ცხად ფაქტად გვიყენებენ თვალწინ ამ წარმოუდგენელ უკუღმართობას და ჟორდანის ფიზიონომიაც სულ ახალფეროვანი სხივებით შუქდება!

სწორეთ საარაკო კანდიერება-გაბედულობის პატრონი ყოფილა. თ. ჟორდანია, რომ ამის შემდეგ იგი ჰბედავს თავის მოღვაწეობაზე ხმის ამოღებას. კაცი, ვოსტორგოვზე ასი თაბახით მავნე ქართული შკოლისათვის ქართველ საზოგადოებას უცხადებს: ქართული შკოლის თავდადებული მუშაკი ვიყავიო! ქართველი ბავშვების დეგენერატობის გზაზე დამყენებელი წუნს სდებს და პასუხის გებაში აძლევს „დედენის“ ავტორს!

გენერლობას ხომ კაცები გაბედულობის გამოჩენით იძენენ და მეტილა გაბედულობა შეიძლება, რომ ქართველების გარუსების საქმეში ქართველი კაცი ვოსტორგოვს შეეებას და ვოსტორგოვს თავზე გადაახტეს?! ასეთი გპირია თ. ჟორდანია!

ნაქულბაქველი მოძღვარი.

პასუხათ ბ. ახელს.

ამ სათაურით დაიბეჭდა „Заканъ рѣчъ-ის“ № 52 ბ. დ. ა-ს პასუხი ბ. ახელის ამავე განხეთის № 39 მოთავსებულ წერილზე „კიდევ ძველი ათონის შესახებ“. ამ წერილში ბ. ახელი ეხება იმ ზომებს, რომლებითაც შესაძლებელია გადაწყდეს ბრძოლა ბერძენ და ქართველ ძველ ათონელ ბერებთა შორის და ამბობს: „თავი

და თავი ან საქმეში ჯერ კიდევ არ გაკეთებულა, ავერ ვხედავთ ცხოველ მონაწილეობას იმ პირთა, რომელნიც დაინტერესებული უნდა იყვნენ ამ საკითხში ე. ი. სამღვდელთა მისიისა. ჩვენმა არქივებმა უნდა მისწერონ საერთო ეპისტოლე კონსტანტინეპოლის პატრიარქს და მეთაურობა ამ საქმეში უნდა მიიღოს თავის თავზე უხუცესმა მათეანმა, იმერეთის იპისკოპოსმა ყოვლადსამღვდლო გიორგიმ“.

„რამდენათაც ვიცი, ამბობს ბ. ა. დ., ყოვლადსამღვდლო გიორგიმ და მისდამი რწმუნებულთა სამღვდლოებამ უკვე მოახდინეს, რაც შესაძლებელი იყო მათი მხრით, და რაც მათი შეხედულებით ჩვენ დროში უფრო ადვილად მიაღწევს მიზანს.“

გასული წლის დეკემბრის თვეში მომხდარმა იმერეთის სამღვდლოების რწმუნებულთა კრებამ, განიხილა რა საკითხი ძველ ათონის ქართველ მოღვაწეთა უნუგეშო მდგომარეობისა, დაადგინა: „ეთხოვოს ყოვლადსამღვდლო გიორგის შეატყობინოს სათანადო საერო და სასულიერო მთავრობას აღნუსხული (მოხსენებაში) უსამართლოება ათონელ ბერძენებისა ქართველ მოღვაწეთადმი და სთხოვოს ცხოველი მონაწილეობა მიიღონ ამ საქმეში. ეთხოვოს კონსტანტინეპოლის პატრიარქს, მიაქციოს თავის მღვდელმთავრული ყურადღება ბერძენების უღირს მოქმედებას და ხელი შეუწყოს კონფლიქტის მშვიდობიანად დაბოლოებას; რომელიც (კონფლიქტი) ამცირებს ბერძენების ღირსებას. აღიძრას შუამდგომლობა რუსის ელჩის წინაშე კონსტანტინეპოლში დაიცვას უცილობელი უფლება ქართველ მოღვაწეთა ათონში. ასეთივე შუამდგომლობა აღიძრას წინაშე დიდი ვეზირისა, და საზოგადოთ წინაშე ოსმალეთის მართებლობისა, რომლის ტერიტორიაზედაც სწარმოებს ასეთი მოღალადე უსამართლობა“.

როგორც მკითხველი ხედავს, იმერეთის სამღვდლოება სრული თანაგრძობით მოეკიდა თავის ათონელ ძმებს და ჰქნა ის, რაც მის უფლებებში იყო. ამ დადგენილების პირი მთელი წარმოებით ყოვლადსამღვდლო გიორგიმ სინოდის კანტორას გაუგზავნა და სთხოვა ამ

უკანისკენს მფარველობა გაუწიოს ათონის საეპისკოპოსოს შუამდგომლობას, რომლებიც თვით საქიროებენ ამ შემთხვევაში უმაღლეს სასულიერო მართებლობის ნებართვას, არ ექნება ის ძალა, რაც ექნებოდა სინოდის კანტორის შუამდგომლობას, რომელიც სათავეში უდგია მთელი საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობას. არ შეგვიძლია დავენდოთ ათონის, კონსტანტინეპოლის, პალესტინის და მათი თანამშებების „თავაზიანობას“. მათზე უნდა ვიმოქმედოთ არა თხოვნით, არამედ სრული და გაბედული მოთხოვნით ისტორიულ უფლებათა სახელით.

იმ შემთხვევაში, თუ სათანადო მართებლობის საქმეში ჩარევამ გავლენა არ იქონია საქმის მშვიდობიანად დაბოლოებაზე, ქართველებს უფლება აქვთ ძალითვე წინააღმდეგენ ძალას. თუ ბერძენი ბერები სდევნიან ქართველებს ათონიდან, რაღაც „ეკლიოტობის“ საფუძველით, ქართველებსაც, შეიძლება, დაებადოსთ აზრი საქართველოდან საეკლესიო მამულების მოიჯარადრე. ბერძენ ბერების განდევნისა, კეთილმოწმუნე ქართველი მეფეები და თავადები მილიონებათ ღირებულ მამულებს სწირავდნენ ბერძენის და ქართველების მონასტრებს, რომლებიც გაშენებული იყვნენ იმ დროს საბერძენეთის ტერიტორიაზე და ამას ჩადიდდნენ ერთი სარწმუნოების სახელით და ურთიერთ შორის სიყვარულის განმტკიცების გულისთვის შემწირველები, რა თქმა უნდა, ვერ წარმოიდგენდნენ, რომ შემდეგ ბერძენი ბერები განდევნიდნენ ქართველებს საკუთარ მონასტრებიდან და დაიმკვიდრებდნენ არა თუ მხოლოდ მონასტრებს და ადგილობრივ ქონებას, არამედ საქართველოს საზღვართა შორის მდებარე მათ მამულებსაც. ბერძენთა მონასტრების გამგეობა საქართველოში მდებარე მამულებს სპარსელ წესზე ეპყრობა. ესა თუ ის მამული ეძლევა რომელიმე ბერს იჯარით, და რომ ამ საქმეს მეტი პატივი მოუხვეჭონ მოიჯარადრე ბერს არქიმანდრიტობის ხარისხით აჯილდოებდნენ. წავა ერთი ჯიბე გაუსებული მოიჯარადრე და მოვა მეორე მშვიერი და სხ.

ხოლო, დამონებული ქართველო, იმუშავე მათთვის. მოიჯარადრების უმეტესობას არც შეუძლია პარაკლისი გადაუხადოს თავის მრჩენელ ქართველს მის დედაენაზე. ნუ თუ ამ იჯარადრების სარჩენ-სამდიდრებელათ შეუწირავსთ ჩვენ ძველებს აუარებელი მამულები?!”

რ ე ლ ა ქ ც ი ის ა გ ა ნ .

ბ. ახელი თფილისში ცხოვრობს, სამღვდელოებაშიც ფეხი უდგია;—ჩვენ, პროვინციალური სამღვდელოება მისგან და მისი ძმებიდგან მოველით ხსნას და აბა ერთი გვიბრძანოს, რა იმოქმედა მან და მისმა მოძმეებმა ამ საქმის შესახებ, რა მაგალითი გვიჩვენა? ამას წინათ ათონელი ბერი ჩამოვიდა, ბევრი ირბინა თბილისში, ბევრი თბილისელი მამები ინახულა, მაგრამ სურვილიც ვერავის აღუძრა დახმარებისა, მხოლოდ ორიოდ ერისკაცმა მიაქცია ყურადყება და ისიც ერთი წუთით.... რაც შეეხება იმერეთის სამღვდელოებას, მან მხურვალე მონაწილეობა მიიღო ძველი ათონის დაბუწულ საქმეებში და ეცდება, რაც ძალი და ღონე შესწევს, დაიბრუნოს თავის ტკბილი სამშობლოს ღირებულება...

მ გ ზ ა უ რ ის შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ი . *

მივედით ნოვოროსისკში ისე, რომ გზაზე არ განგვიცდია არც ქარიშხალი და ნისლი, არც ღელვა და სხვა ამგვარი საშინელება, რომელიც დაატყდება ხოლმე თავზე ზღვაში გემით მოგზაურს. ზოგიერთი ვაებატონები წუხდნენ კიდევ, რომ გზაში ასე მშვიდობიანად, სიამით მოვდიოდით და ნატრულობდნენ ქარიშხლის ამოვარდნას, რომელსაც იალქნები უნდა დაეგლიჯა, ქვაბი დაეზიანებია და ჩვენც, საწყალობელი პასაჟირები ნაფოტებივით ვეთა მამებინეთ ზღვის აგორებულ დიდ ტალღებს.

მაგრამ დიდებულმა, მშვიდად დაწყნარებულიმა ზღვამ არ ინება ჩვენი აღშფოთება, შე-

* იხ. „შენ. საქმ.“ № 8

წუხება და გამწარება, თავიდან აგვაშორა ღელვა და ქარიშხალი, რომლის მარტო ერთი ხსენება და აღწერა კაცს თავზარს სცემს და აკანკალებს. ღმერთმა აშოროს ყველა სულდგმულს ზღვაზე ატეხილი ქარიშხლის საშინელება და ორთქლმავალ გემის განსაცდელში ჩაეარდნა. თუ რომ თავზე ხელაღებული, აგრეწოდებული „любители сильныхъ ощущений“ ზოგიერთი ტრაბახა და მკვებარა ყბედები, რომელნიც დიდი თავმოწონებით გაიძახიან, „ზღვისა არ გვეშინიაო,“ და მკირეოდენ ფურთვნის დროს კი შიშის კანკალი მოსდით და ნაცრის ფერი ედებათ სახეზე, მაშ რაღა უნდა დაემართოთ იმათ მაშინ, როცა ეს დიდებული და საშინელი ზღვა გაათრებულ დაქრილ ლომსავით დაიწყებს ღრიალს და დააყრუებს მთაბარს, მთელს არემარეს, როდესაც თავზარ დამკემი ქარიშხალი საშინელის, თითქმის წარმოუდგენელის ძლიერებით ყოველს წუთში გემს საბედისწეროთ დაეტაკება და ერთს უბრალო სათამაშო ნივთად, ნაფოტად გახდის. ძნელია, მეტად ძნელი კაცის ენამ გამოსთქვას ამ დროს გემზე მსხდომთა მდგომარეობა და სასოწარკვეთილება...

რა დიდი და ღრმა აზრია გამოთქმული რუსულ ანდაზაში: „кто на морѣ не бываль, тотъ и Богу не маливался.“

ჩვენი გემის წინ, ორი თუ სამი დღით ადრე ბათუმიდან გასული გემი „ა. პუშკინი“, რომელსაც უნდა გავყოლოდი მეც და არ გავყევი, რადგან უკეთეს გემს ვუცდიდი, მიღგომოდა ნოვოროსისკს, მაგრამ იქიდან ეს გემი ნავთსადგურში შესვლამდის უკბათ მოეტაცნა საშინელს ზღვის ღელვას, რომელიც მოჰყვა მაშინდელ მიწის ძვრას ჩვენში და ნოვოროსისკის ნარდოსტს (ძლიერი ჩრდილოეთის ქარია) და ხუთი დღის შემდეგ გაეგდო იგი ოსმალეთში, სინოპის ქალაქში. შობის ღღესასწაულებზე ქ. ეკატერინოდარში ვიყავი სტუმრათ აგრონომ ვორევეთან, რომელსაც თავზე დაატყდა ეს დიდი განსაცდელი და მან მიაშბო ყველაფერი უბედურება, რაც მოგზაურებს გადახდომოდათ იმ დროს. თურმე, ნახშირი რომ აღარა ქონ-

დათ, ორთქლის გამოსაწვევათ გემის ყოველივე ავეჯი დასწევს სრულიად, ბევრმა თავი მოიწამლა, ბევრს შიშისგან წვერ-ულვაში გაუთეთრდა და ეს ათასი სული პასაჟირი, რომელთა შორის, უეჭველია, ბევრი ატეისტიც იყო, მუხლ-მოდრეკილი, დაჩოქილი ვევედრებოდა ღმერთს და შველას შესთხოვდა. ვიცი, რომ დიდი უბედურობის დროს, ყველაზე უფრო გულწრფელი, მხურვალე მავედრებელი ღმერთისა ურწმუნო კაცი, ატესტია...

ქ. ნოვოროსისკი ძვეს იქვე ზღვის პირად. თვითონ ქალაქის უმთავრესი ნაწილი ბოლახზე დაშორებულია ორი ვერსით. ნავთ-სადგურს იქვე ახლავს, აგრეწოდებული „Русский стандарт“, რომელიც ფრანკტუცებს ჰქონიათ იჯარით აღებული 99 წლით ნავთის გულისთვის. მაგრამ რადგან ნავთი არ აღმოჩენილა, იმათ ამხანაგობა შეუდგენიათ სახლების ასაშენებლად და ცემენტის საწარმოებლად და იქაურობა მოუფენიათ და გაუშვენიერებიათ კოხტა სამ-სამი და ორ-ორი სართულიანი სახლებით. ზღვის ნაპირად გაკეთებული ფართე ქუჩები კარგი სანახავია, რომელთაც ორივე მხარეზე მისდევს მდიდრად და ხელოვნურად აშენებული ლამაზი სახლები. სახლების წინ, ქუჩებზე ჩაურვავთ აკაციების ნარგავები ისე, როგორც ეს ქალაქ ადესაში არის გაკეთებული. აქვეა ვლადიკავკაზის რკინის გზის ლიანდაგები გაყვანილი, ვაგზალიც, აბანოები, ზავოდებიც. შავი ზღვის პირის ოლქის უფროსის სადგომი, და კანცელარია, ტამოჟნა, პოლიციის და ფოსტის განყოფილებანი და დიდი, უზარმაზარი ელექტრორიც. მთელი ეს ზღვის ნაპირები, ვაგზალი, ელექტრორი განათებულია ელექტრონით, რომლის სადგურიც აქვეა მოწყობილი.

მეც ამ ნაწილში ავირჩიე სასტუმრო და დაფინანსი. ნავთსადგურიდან ჩვენებური მუშა გამოვიყოლე, რომელიც დავიხლოვე და მისი შეოხებით გავიცანი თითქმის ყველა ახალგაზდა მუშები ნოვოროსისკის ნავთსადგურისა, რომელნიც ჩვენი ქვეყნიდან წასულიყვენ. ბევრი ქართული წიგნები მქონდა წადებული და იმათ ვუფეჟკაშე. ჩვენებურ მუშებთან ყოფნა და მუ-

საიფი ძალიან მართობდა მე, რომელსაც იმათ გარდა ნაცნობი იქ არავინ მყავდა. ტამოჟნაში და სასამართლოებში იყვენ ინტელიგენტი ქართველობა, რომელნიც შემდეგ გავიცანი. იყო აგრეთვე ნოვოროსისკში ერთი ქართველი მღვდელიც; გვარად ბერძენოვიაო, მითხრეს ინტელიგენტმა რუსებმა სასტუმროში, მაგრამ იგი, თურმე, სულ ერთავად, დილიდან საღამომდის და საღამოდან დილაამდის მთერალიაო და ამიტომ იგი ჩემის გაცნობით მე აღარ შემეჩუხებია...

თვითონ ქ. ნოვოროსისკი, რომელიც მთელი შავი ზღვის პირის გუბერნიის მთავარ ქალაქად ითვლება, არაფრით არ არის მაინცა-და-მაინც შესანიშნავი. აქ პირველი ქუჩა სერგებიაკოვის ქუჩა არის, რომელიც საკმაოდ გრძელია და ფართოც, ორივე მხარეზე ამ ქუჩას მდიდარი მაღაზიები აქვს ჩამწყკრივებული და კარგ სანახაობასაც წარმოადგენს. აქვე ახლოს პატარა სერზე არის გუბერნატორის სადგომი, ფოსტა, მთავარი პოლიცია, ეკლესია და მრავალი სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულება, სასწავლებლებიც. საერთოდ კი, საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯის ცემა ძლიერ სუსტი და უმნიშვნელოა. აქ გაზეთი არ ისტამბება და არ გამოდის, სხვა მხრიდანაც გაზეთები ძალიან ცოტა მოდის. ნოვოროსისკის ორს საუკეთესო რესტორანში გაზეთები ძალიან ცოტა არის და არც სალდება. მარტო ეს ფაქტი ამტკიცებს ნოვოროსისკის „ინტელიგენტობას“.

რუსეთის შავს ზღვაზე ნოვოროსისკი ისეთივე დიდი საექსპორტო პორტია, როგორც ადესა, ბათომი და ფოთია. ფოთი ჩვენებური განთქმული შავი ქვის პორტად არის ცნობილი რუსეთსა და საზღვარ-გარეთ, ბათომი პორტია ბაქოს ნავთისა და მარგანცისაც. მთელ კავკასიაში განთქმული მდიდარი მხარე კუბანის ოლქისა და დიდი აუზები ისეთი მდინარეებისა, როგორც დონი და ვოლგაა, თავის სიმდიდრეს—პურს აგზავნიან ნოვოროსისკს და აქედან გააქვთ საზღვარ-გარეთ. ნოვოროსისკის ისეთი ძვირფასი, იშვიათი ტოპოგრაფიული მდებარეობა და ღრმა ზღვის ყურე აქვს ბუნებისგან მი-

ცემული, რომ დონის როსტოვს მან სრულიად ხელიდან გამოსტაცა პურის მთელი აპერაცია და ნოვოროსისკმა ჩაიგდო ხელში პურის მდიდარი აღებ-მიცემობა და ექსპორტი.

ნოვოროსისკის, როგორც სავაჭრო პუნქტის, განვითარების ისტორია ძალიან მოკლეა. ამ თუთხმეტი, ოცი წლის წინათ ნოვოროსისკი ერთი უბრალო დაბა იყო. ასე რომ 1885 წ. ჩვენ, ორმოციოდე ქართველი ყმაწვილები რომ პირველად აღესაში მივდიოდით, გზაზე ყოველთვის გემიდან ვხტებოდით და ყოველ თვალსაჩინო ქალაქს ვათვალიერებდით, ნოვოროსისკისაკენ არც კი მივვიხედია. მართალია, იგი მაშინ კუბანის ოლქზე იყო მიკრული და შავი ზღვის მხრის ადმინისტრაციულ ცენტრს მაინც ნოვოროსისკი წარმოადგენდა, მაგრამ ქალაქის სახელწოდების ღირსი მაინც არ იყო იგი.

ხომლელი.

(შემდეგი იქნება).

კვირიღამ-კვირაშდე.

ექსარხოსის კანცელარია ამით აცნობებს ყველას, ვისაც რაიმე საქმე აქვს ყოვლადსამღვდელო დავით, ალავერდის ეპისკოპოსთან, რომ ყოვლადსამღვდელო გაემგზავრა შუმათის მონასტერში საკუთარ სურვილისამებრ და, როგორც მის ექსარხოსისადმი წერილიდან სჩანს, წასულია ჯანმრთელობის აღსადგენათ სოფლის მყუდროებასა და მთის ჰაერში.

საქართველოს ექსარხოსმა ნება არ დართო ბაქოს ქართველთა საზოგადოებას, ხელის მოწერით ფული შეაგროვოს ბაქოში ეკლესიის ასაშენებლათ. („კოლხიდა“).

ვაქართა თფილისის საზოგადოებამ კავკასიის უნივერსიტეტის სასარგებლოთ 25,000 მან. გადასდევ. ამ ფულის შეგროვებას ვაქართა

შორის ამ დღეებში შეუდგებიან. მისაბაძი მაგალითია სამღვდლოებისათვის.

როგორც გავიგეთ ცნობილ დეკანოზ მ. რომანოზ დეკანოსიძეს თავის მეუღლის, ანუ-სიას, სახელზე საეკლესიო სამრევლო ორკლასიან ქალთა შკოლის გახსნა განუძრახავს ხარაგაულში.

ზინაური მიმოხილვა.

ჩვენი გაზეის რედაქტორმა მიმიწვია მე, თქვენი უმორჩილესი მონა ვწერო, „ზინაურ საქმეებისთვის“ ყოველთვის „ზინაური მიმოხილვა“, რომ მკითხველს გათვალისწინებული ქონდეს ხოლმე ქართველთა ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი საქმენი და ყურადღებით ადევნოს მან თვალ-ყური ჩვენს ყოველდღიურ ვითარებას. მეც სიამოვნებით და დიდი ხალისით ვკიდებ კალამს ხელს. მაგრამ, ნება მიბოძეთ, ამ ჟამად ყოველდღიურ ვითარებას თვალი ავარიდოთ და გავარკვიო ერთი უმთავრესი და უდიადესი საგანი დღეინდელი ქართველთა ცხოვრებისა—ჩვენი მამულიშვილობის მოთხოვნილება.

* *

ნამდვილი, რეალური აზრი ქართველი მამულიშვილობისა ღაიბადა და გაჩნდა გასული საუკუნის სამოციან წლებში და იმისი გულწრფელი მებაირახტრენი იყვენ ჩვენი თავმოსაწონებელი მამულიშვილნი—მაშინდელნი ლიბერალნი. ლიბერალებიდან მოყოლებული დღევანდლამდე ახალი ქართველობა მხოლოდ იმას ნატრულობს, რომ ყოველი 'ასარგებლო, საქირო ცვლილება, რაც კი შიდა რუსეთის მკვიდრს მინიჭებია, ჩვენ, ქართველ ხალხსაც მინიჭებოდა, მაგალითად, ერობა, ნაფიც მსაჯულთა სამართალი, უნივერსიტეტი, სარწმუნოების, სასამართლოს და სწავლა-განათლების საქმეში ქართულ ენას მისცემოდა თვისი შესაფერი ადგილი და მნიშვნელობა.

წინაპირველად დაეწყით ქართულ ეკლე-

სიიდან, თუ რა დაუმსახურებელ დევნას განიცდიდა იგი ამ ერთი საუკუნის განმავლობაში.

1801 წ. 12 ენკენისთვის საქართველო პოლიტიკურად თავის ნებით შეუერთდა ერთ მორწმუნე რუსეთის ხალხს და რუსეთის ბრძანებულის სკიპტრას შეაფარა მან თავი. ჯერ ათ წელიწადსაც არ გავიდა მას აქეთ და 1811 წ. 30 ივნისს სრულიად უმიზეზოთ მოსპობილ იქნა საქართველოში კათალიკოზობა და უძველესი ივერიის ეკლესია რუსეთის სინოდს დაუქვემდებარეს. ამნაირად, ჩვენი ავტოკეფალური (თავისუფალი) ეკლესია, ძირითადი სჯულის კანონის წინააღმდეგ, სრულიად გაუქმდა და ამიერიდან იგი პეტერბურგის სინოდის უბრალო ბიუროკრატიულ დაწესებულებად გადაიქცა.

და, როცა დეკანოზი ი. ვასტორგოვი წერდა, „რომ ქართველებმა ავტონომიის აზრი ჯერ-ჯერობით ქართულ ეკლესიის ავტოკეფალობის მოთხოვნაში გამოხატესო“, — ეს მართალი არ არისო, წერდა 1906 წ. ჩვენი სასიკადულო პროფესორი ნიკო მაროი. „საქართველოს ავტონომია ქართველებმა წამოაყენა კი ხანია აშკარად და სრულიად დამოუკიდებლად საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხისგან. რასაკვირველია, საქართველოს ავტონომიაც არ უნდა ყველა ქართველს: ქართველი სოციალდემოკრატები აქამდის გულდაჯერებული მოწინააღმდეგენი იყვენ იმისი, და არც იმაში ხედვენ თვის დანიშნულებას... საქართველოში კიდევ მოიპოვებიან ადამიანები, რომელთაც შეუნახავთ ქრისტიანულ ეკლესიის ცოცხალი ინტერესი. ისინი ბევრი არ არიან, ამას არ უარეყოფ, მაგრამ სწორედ ისინი არიან, რომ სათავეში უდვიან მშობლიურ ეკლესიის ავტოკეფალიის სასარგებლოდ ატეხილ მოძრაობას; მათ შორის გამოდიან უფრო გათვითცნობიერებულნი წევრნი საქართველოს სამღვდლოებისა, რომელნიც თვალ-ნათლივ დარწმუნებულან, რომ საქართველოში ვერ იარსებებს ეკლესია, თუ ხალხთან არ ექნა მას მკიდრო კავშირი და ერთობა, რომ დროა მივეყვდლოთ, ე. ი. დაუბრუნდეთ ისევ ხალხს და სერიოზულ-

ლად ვიფიქროთ მის სულიერ განათლებაზე, რომ ხალხის გარეშე არ არის ხსნა“.¹⁾

კათალიკოზის მაგიერობას საქათველოში რუსის ექსარხოსები ასრულებენ. მართალია, პირველი ექსარხოსი ქართველი იყო — ვარლამი (1811—1817 წ.), მაგრამ შემდეგ ქართველ კაცს აღარ ღირსებია ექსარხოსობა, თუმცა ამისი ღირსი ეპისკოპოზები ქართველებს ყავდათ. 1817 წ. ექსარხოსად დანიშნულ იქნა თეოფილაქტე, რომლის დროსაც თფილისში დაარსდა სასულიერო სემინარია; მან დაღუპა უბედური მღვდელმთავრები გაენათელი და ქუთათელი და აგრეთვე განკარგულება მოახდინა, რომ სიონის ტაძარში კვირაში სამი დღე რუსულათ ეწირათ.

პავლეს ექსარხოსობამ ხომ ჩვენ თვალისწინ განვლო. მან პირდაპირ ეკლესიაში თავისი სამწყსო, — მთელი საქართველო; დასწყევლა და შეაჩვენა. ამ ამბავმა დიდად აღაშფოთა ღრმად მორწმუნე, მაშინდელი იმერეთის მარშალი დიმიტრი ი. ყიფიანი, რომელმაც დიდი ზრდილობიანი და თავაზიანი კილოთი დაწერილი წერილი მისწერა მას. ამ კერძო წერილისთვის მოხუცებული გუბერნიის მარშალი ადმინისტრაციულად გადასახლეს ქ. სტავროპოლში. სადაც უბედური ტრადიკულად დაიღუპა...

მე აქ შემეძლო მკითხველის თვალ წინ უფერუმარულოდ დამეხატა ის საშინელი ტრაგედია, რომელმაც იმხვერპლა თფილისის სასულიერო სემინარიის რექტორი ჩუდეციკი. მაგრამ ეს ამბავი ძალიან შორს წამიყვანდა. ამ სტატიებში კი ჩემი მიზანია მხოლოდ ფაქტები ვალაპარაკო, რომ საუბარი, რაც შეიძლებოდა, მოკლეთ მოვჭრა.

1886 წლიდან სოხუმის ეპარქია სულ ჩამოაცალეს ნეტარხსენებულ გაბრიელ ეპისკოპოსს და მას აქეთ ქართველი ეპისკოპოზები აღარ გაუქაქანებიათ, თუ არ ჩავთვლით მკორე ხნობით ჩვენი სამაგალითო მამულიშვილის

¹⁾ იხ. Къ Грившиному вопросу Проф. Н. Марръ С.-п. 1906 г.

კირონ ეპისკოპოსის იქ დანიშვნას რომელსაც საშუალოდ საშინლად ჩამწარდა...

ქართულ ენაზე საქმეების წარმოება საეკლესიო წიგნებისა მთელს საქართველოში ერთი კალმის მოსმით მოსპეს. იმ დღიდან მთელი აფხაზეთის ეკლესიებიდან ხომ სულ ერთიანად გამოაძევეს ქართული ენა. ასე იდევნებოდა ეს ენა სამეგრელოს სკოლებშიაც ქართველების „დიდი მეგობრის“ დეკანოზის ვოსტორგოვის ჩვენში ყოფნის დროს. დევნიდნენ ქართულ ენას ყველა ჩვენებური ქალაქების და ზოგ მოზრდილ დაბა-სოფლების ეკლესიებიდან, როგორც „ძაღლების ენას“. ქართველთა დიდი განმანათლებელი, მოციქულთა სწორის წმიდა ნინოს ქალთა მონასტერში ქართული ენის სახსენებელი სრულიად მოისპო.

ყველამ იცის, რომ ჩვენებურ სასულიერო სასწავლებლებში ქართულ ენას საძაგლათ ასწავლიან. ამიტომაც ჩვენი ნასწავლი ღვედლები ვერ არიან მომზადებული ქართველი ხალხის სამოდეროდ. ეს არის მიზეზი, რომ დღეინდელ მოძღვარს ათასი დაბრკოლება ეღობება წინ და მისი გავლენაც ჩვენ ხალხზე ასე დაცემულა.

მაინც ეს ერთი სემინარია, რომელიც თფილისშია, როგორ უნდა გასწვდეს მთელს საქართველოს და ეს ერთი სემინარია, თურმე, დღეს ნახევრად რუსებითა და ბერძნებით არის სავსე. მართალია, იყო ქუთაისში სასულიერო სემინარია, რომლის დაარსებას გადაყვანეტარხსენებული ეპისკოპოსი გაბრიელი, და იგიც გახსნისათანავე მიკეტეს. მიზეზად ის დაიდევს, რომ შეგირდებმა უწესოება მოახდინეს... აბა, გაგონილა? სად არ მოუხდენიათ შეგირდებს უწესოება: რუსეთშიაც და ჩვენშიაც, უნივერსიტეტებშიაც და სემინარიებშიაც. ის კი არა აგერ შემოდგომაზე ქუთაისში ორი დირექტორი ერთ საღამოს ერთად მოჰკლენ კინაღამ. მაგრამ სასწავლებელი არ დაუკეტიათ.

რუსეთის საეკლესიო მთავრობა ქართველი ხალხის საკითხავად და სახმარებლად დაბადების ქართულ ენაზე დასტამბვას სრულიადაც არ ფიქრობს.

მართალია 1884 წ. დაისტამბა ორი დი-

დი ტომი ქართულად ნათარგმნი დაბადებისა, მაგრამ მისი ხმარება ხალხს როგორ შეუძლია, როცა ენაც გარყვნილია, ისეა ნათარგმნი. აგრეთვე ტანით მეტად დიდია და მძიმე, და ამიტომაც, მოუხერხებელია იმისი ხმარება, ამა-სთანავე საშინლად ძვირია და, აბა, ჩვენი საზოგადოება, ნამეტურ ხალხი, ამას როგორ გაეკარება, განა ამნაირად წიგნების გამოცემის ითხოვს ჩვენი ერის ინტერესი და სარგებლობა?

ყველა ამას შემდეგ, რაც ზევით მოგახსენეთ, კიდევ შესწევთ გაბედულობა საქვეყნოთ იყვირონ, რომ ქართველობას სარწმუნოებრივი გრძნობა აღარ გააჩნიაო...

დიახ, ეს მწარე სინამდვილეა! არ დავფარავ და ვიტყვი მეც ხმა მაღლა, რომ დღეს ქართველობა სარწმუნოების საქმეებში სრული ინდეფერენტობით არის გამსჭვალული, ის ქართველობა, ის საოცარი ერი, რომელიც გააფთრებულ აზიის ბარბაროსობას ათასხუთასი წელიწადი საარაკოდ ებრძოდა ქრისტეს ჯვრისთვის და მთელი მისი სათაყვანებელი მამული თავდადებულთა წმინდა სისხლით მორწყა.

გულკეთილი.

შემდეგი იქნება.

რას გვჟერენ?

კეთილმოწყონის არჩევნები ლაშქეთის ოლქში.

ამა წლის „შინაური საქმეების“ პირველ ნომერში იყო ცნობა, რომ ცაგერის ოლქის სამღვდელეობას ბლალოჩინის აღრჩევის უფლება მიეცაო; ნამდვილად კი ბლალოჩინის აღრჩევის უფლება მოგვეცა ჩვენ, ლაშქეთის ოლქის სამღვდელეობას, და არა ცაგერისას.

არჩევნებით რომ ჩვენც ცუდათ ვსარგებლობთ, ამაში ეჭვი არ არის; ამისი დამამტკიცებელი საბუთები ბევრი წამოგვიყენა ჩვენ ცხოვრებამ. ვწუნობდით ხალხის მიერ კრებულის წევრების არჩევას მისი უკუღმართობისა გამო, და კიდევაც მოისპო ეს წესი. ეხლა ვკითხვით ჩვენ თავს: მამანო, ჩვენ კი კეთილად ვსარგებლობთ ამ უფლებით თუ არა?! ვგონებ, გულ-

წრფელი პასუხი იქნება არა, და ასჯერ არა! რადგან ჩვენ ცუდად ვსარგებლობთ ამ უფლებით, ამიტომ უმჯობესია მოისპოს და ნუ გავიკვირდებით, თუ ვიტყვი, რომ მალე მოისპობა. —დიდი მოლოდინის შემდეგ არჩევნები დაინიშნა ს. ჩოლურს 3 თებერვლისათვის მოძღვართ—მოძღვრის ბინაზე, რომელიც მძიმე ავთომყოფი იყო, და ამიტომ ფაქტიურად არჩევნებს აწარმოებდა ავთომყოფის ოჯახში მისი სიძე, ახლად ნაკურთხი მღვდელი ჩხეტიანი, რომელსაც ჩვენი სამღვდლოება ჯერ ვერც კი იცნობს.

რანაირი არჩევნები მოხდებოდა მკენესარე ავთომყოფთან, რომელიც მისს ერთ-ხორცს ჰყავდა მიურდნობილი გულზე, — მკითხველი ადვილად მიხვდება. არავითარი წესიერება, არავითარი დაკვირვება, არავითარი კანონიერება იქ არ სწარმოებდა. ამიტომ სრულ გონებაზე მყოფი კაცი, მასზედ დასწრებას დაუსწრებლობას ამჯობინებდა. კენჭში მიიღო მონაწილეობა ბრუნდმა და მართალმა, პასუხისგებაში მყოფმა და უმყოფმა, რაიც კანონით აკრძალულია. უქონლობისა გამო საარჩევნო ყუთისა, მისი მაგიერობა გასწია ორმა დიდმა ქისამ, რომლებზედაც ეწერა სიტყვები: „თეთრი“, — „შავი.“ ეგებ მკითხველმა ხუმრობად მიიღოს ესა, მაგრამ ნამდვილ ეგრე მოხდა. კანონი მოითხოვს, კენჭის ყრა დაფარული იყოს — ესეც არ მოხდა აქ და ყველა თამამად უფათურებდა ხელს ყუთებსა და ქისებში. გარდა ამისა, მოკენჭებებს იწვევდნენ მეორე ოთახიდან, ვინაიდან ავთომყოფთან ოთახში, სადაც წარმოებდა არჩევნები, 3—4 კაცის მეტი ვერ ეტყოდა. წინისწარ პარაკლისის გადახდაზე — ყველა მისი შედეგებით — ხომ კი არავის მათგანს აინუნშიაც არ მოსვლია!

ასეთ მორთულობაში არჩეულ იქნენ მღვდლები: ტარისი ფოფხაძე — ბლალოჩინად, სოლომონ ჯანხოთელი მის თანაშემწედ, ხოლო კანდიდატად ამ უკანასკნელისა არსენ ონიანი. ამნაირი ლაშხეთის ქოლქის სამღვდლოების უკანონო მოქმედება, მისს ყოვლად უსამღვდლოესობას, თითქო წინასწარ, უცვნი

და გამოვიდა ხმა, რომ, „ვინაიდან ლაშხეთის სამღვდლოებას თავის დროზე ვერ აურჩევია კეთილ—მოწესე, მე არ უყურებ მათ არჩევნებს და ვნიშნავ იოანე მუსერიძეს ჩემის შეხედულებითო. რამდენად მართალია ეს ხმები არ ვიცით — შემდეგი გვაჩვენებს.

დამსწრე.

ბ. ა. ჯანელიძის ლექციების შესახებ.

კვირას 4 თებერვალს დაუსრულებია ბ. ალ. ჯანელიძეს თავის ლექციების კითხვა „სიკოცხლის საზღვრებზე“. როგორც ბ. ფარი გადმოგვცემს, ბ. ჯანელიძე გატიმულა და წინააღმდეგ მეცნიერ პასტერის ექსპერიმენტებისა დაუმტკიცებია ის, რასაც ყოველი მატერიალისტი ამტკიცებს, ე. ი. ცოცხალი არსება არა ცოცხალ არსებათაგან წარმოსდგაო. ჩვენ არ დავსწრებივართ ამ მილიონჯერ გადაღეტილ მოძღვრების ლექციებს, მაგრამ ფიც ქვეშ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ბ. ალ. ჯანელიძე ვერაფერ ახალ სინათლეს ვერ შეიტანდა იმ ბნელეთში, რომელსაც მატერიალიზმი ეწოდება. იგი უთუოთ იმას იტყოდა, რაც ადამსობას უთქვამს მატერიალიზმს. ამიტომ მისი პასუხის გაცემაც მით შეიძლება, რაც წინააღმდეგი თქმულა. მართალია, ნათქვამს არ უნდა ვიმეორებდეთ, მაგრამ რა ვქნათ, რომ ჩვენი საზოგადოებისთვის ყველაფერი ახალია. თუ ასე არ იყოს რა ტაშ-ფანდურის ღირსი უნდა ყოფილიყო ბ. ჯანელიძის „მილიონჯერ გადაღეტილ-გადაცოხნილი“ ლექცია. მაგრამ, დახეთ ჩვენ უკან ჩამორჩენილობას! საზოგადოებას ბ. ჯანელიძის ლექცია მეცნიერების უკანასკნელ სიტყვით მიუჩნევია და ბ. ჯანელიძე მის შემოქმედათ და ტაშის ცემით კინაღამ თეატრის დარბაზი დაუნგრევია. რა უგუნურებაა ისეთი მოძღვრების მოწონება, რომელიც ძირს უთხრის ადამიანის ქვეყნად ცხოვრებას, აზრს უკარგავს მის არსებობას, ამაზე არაფერს ვიტყვით. მხოლოდ ვსთხოვთ ყველას, ვინც ჰეშმარიტებას ეძებს, ყურადღება მიაქციოს ჩვენ გამოცემაში ნათარგმნ სტატიებს „მატერიალიზმი“, რომლებშიდაც სრულ პირუთენელ კრიტიკას ნაზანს

იმ თეორიისას, რომელიც დაუცავს ბ. ჯან-
ლიძეს თავის ლექციებში. (პირველი წერილი
იხ. „შინ. საქ.“ № 7 1912 წ.

არ შეგვიძლია არ უსაყვედუროთ სახალ-
ხო უნივერსიტეტის გამგეობას, რომელიც არ
აქცევს ყურადღებას წასაკითხ ლექციების ზნე-
ობრივ, თუ პრაქტიკულ ღირებულობას. სა-
ხალხო ლექციებში უნდა ისმოდეს მხოლოდ
ის, რაც უცილობელი ქეშმარიტებაა და არა
ის, რაც საცილობელია და საეჭვო. სახალხო
ლექცია უნდა სთესდეს ხალხში საჭირო, ცხოვ-
რებისთვის გამოსადეგ ცოდნას. ასეთი ლექცია
კი, რაც თავი გვახსოვს, ერთიც არ მოსმენი-
ლა ჩვენ სახალხო უნივერსიტეტში.

ხელი.

თიანეთის მხრის ამბები.

1910 და 1911 წ. ერწოთიანეთის მომ-
რიგებელ შუამავალის თავადის დ. ქავჭავაძის
და ერწოთიანეთისვე ბოქაულის ბი—ნი ვაშა-
ძის მეცადინეობით აქეთ გაიხსნა სამი სამინის-
ტრო შკოლა სოფ. ნაქარაქალში ორ კლასიანი,
და სოფლებ ბორჯომში და საყარაულოში ერთ
კლასიანები. ხალხი პირველ ხანებში გულგრი-
ლად ეკიდებოდა შკოლებს, შიშით, ვაი თუ
შკოლის ყველაფერი ხარჯით ჩვენ დაგვაწვესო,
მაგრამ დღეს კი როცა დარწმუნდნენ, რომ დი-
დი ხარჯი არა გასდით რა, სიხარულით და
თანაგრძნობით ეკიდებიან. ბოქაული ბა—ნი
ვაშაძე დღესაც არ აკლებს მზრუნველობას თა-
ვის საბოქაულოს და ცდილობს შკოლების გახ-
სნას. მაგალითებრ, წელსაც თებერვლის ორში
ეწვია სოფ. ახალ სოფელს. ბა—ნი ბოქაული
ვაშაძე შეკრებილ ხალხს ჯერ მიესალმა მეგობ-
რულათ და შემდეგ დაუწყო საუბარი შკოლის
საჭიროების შესახებ და უთხრა: „ჩემო ძმებო,
შარშან ამ დროსაც ვიყავი თქვენ შორის სხვა
პატივევმულ პირებთან ერთათ და გირჩიეთ
შკოლის გახსნა, მაგრამ სამწუხაროთ—თქვენ
შორის ამოჩნდნენ ზოგნი არა პატიოსანი პირ-
ნი, თქვენი ორგულნი, რომელთაც გული სხვა-
ნაირათ შეგიცვალესთ და გადაგიბირეს; აი დღე-
საც მოვსულვარ გირჩიოთ ძმურათ, თქვენის
შვილების ცოდვაში ნუ დგებით და სინათლის
გზას ნუ უხშავთ. იცოდეთ ამ დროში უსწავ-
ლელი კაცი ყველგან უკან ჩამორჩომილია და
ნასწავლის ყურმოჭრილი ყმა არის“ და სხვა...
ბ. ბოქაულის ვაშაძის ტკბილმა სიტყვებმა უნა-
ყოფოთ არ ჩაიარა, ხალხზე გავლენა იქონია,
ერთკლასიან შკოლის გახსნაზედ ახალ სოფელ-

მა თანხმობა გამოაცხადა და აგრეთვე დაიკის-
რა შეშა, სანათი და მოსამსახურე მასწავლებე-
ლისთვის, რის შესახებაც განაჩენი დაადგინა.
ამნაირათ, წელსაც აქეთ მეოთხე სამინისტრო
შკოლა შემოგვემატა, ბა—ნი ბოქაულის
ვაშაძის მეცადინეობით, რისთვისაც დიდი
მადლობის ღირსია.

ეს მეორე წელიწადია, რაც თბილისიდან
პირდაპირ ცხვარიქამიაზედ თიანეთამდე ფოჩ-
ტის მიმოსვლა მოსპეს და თელავზე გადიტა-
ნეს, რაც ერწოს მხრის სოფლებისთვის დიდი
საენებელი და სამწუხაროა—მით რომ თავის
დროზე ველარაფერ კორრესპონდენტის ვერ
ვღებულობთ, და მოწყვეტილი უნდა ვიყვნეთ
ქვეყნის ავკარგის გაგებას. ამ საქმისთვის თავი
არავის აუტიკვებია და არც არავინ ფიქრობს.
ვისურვებთ, რომ ახალმა თიანეთის მხარის უფ-
როსმა ბ—ნმა აღდატოვმა მაინც მიაქციოს ყუ-
რადღება და გაგვიწიოს დახმარება, რომ ფოჩ-
ტამ ისევ ძველებურათ იაროს, თბილისიდან
ცხვარიქამიაზედ თიანეთამდე.

წელს აქეთ კარგი ზამთარი იყო და გაზა-
ფხულიც ჯერჯირობით მშვენიერი დაგვიდგა.
ხალხი გუთნის ხენას და ქერის (გაზაფხულის)
თესვას უკვე შეუდგა.

აქეთ მხარეს წითელამ ხალხს ბევრი ზა-
რალი მიაყენა, ჯერაც ისევ მძინვარებს წითე-
ლა ზოგ-ზოგ სოფლებში.

ქართველი ოსებში ნამყოფი.

შინაური საქმეების ფოსტა.

ამ უამათ ჩვენ გამოცემაში ყოვლიანამდე-
დლო ლეონიდის მწყემსთმთავრული მოგზაუ-
რობა ისტამბება. ამას უნდა დაეინტერესებია
გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამღვდლოება,
რადგან აქ, ამ წერილებში მისი მეუფების შე-
ხედულება მწყემსთა და სამწყსოს შესახებ საესე-
ბითაა მოყვანილი. მაგრამ ამას არ ამტიკებს
ამ გაზეთის გამომწერთა რიცხვი ხსენებულ
ეპარქიიდან. სჩანს სულიერი მამები კმაყოფი-
ლი არიან თავიანთ გარჯილობისა მრევლში!..
ან და ოთხი მანეთის ხარჯს ურიდებიან. —

რედაქტორი მღვდელი სვიმონ მხედლიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა.